

შპს “ბაკურიანი XI - მგზავრებისგან”

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ბაკურიანი XI - მგზავრებისგან“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის


	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	18 114	20 842	5 988
სულ გრძელვადიანი აქტივები		18 114	20 842	5 988
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1 822 832	1 114 056	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		197 445	2 942 232	1 360 815
სხვა მიმდინარე აქტივები	6	4 393 331	6 524 971	3 734 615
სულ მოკლევადიანი აქტივები		6 413 609	10 581 259	5 095 430
სულ აქტივები		6 431 723	10 602 101	5 101 417
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		250 761	54 254	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	3 906 938	8 774 843	5 049 961
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4 157 699	8 829 097	5 049 961
სულ ვალდებულებები		4 157 699	8 829 097	5 049 961
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გადაფასების რეზერვი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		2 274 023	1 773 004	51 457
სულ საკუთარი კაპიტალი		2 274 023	1 773 004	51 457
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		6 431 723	10 602 101	5 101 417



შპს „ბაკურიანი XI - მგზავრებისგან“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის


	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	8	4 447 999	5 470 153
ამონაგების თვითღირებულება		(3 659 604)	(3 399 863)
საერთო მოგება		788 395	2 070 290
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(6 147)	(137 455)
ფინანსური ხარჯი		1 350	670
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		(282 578)	(211 958)
მოგება დაბეგვრამდე		501 020	1 721 547
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		501 020	1 721 547



შპს „ბაკურიანი XI - მგზავრებისგან“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019
პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	გადაფასების რეზერვი ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2018	-	51 457	-	51 457
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-			-
გაცემული დივიდენდები				
პერიოდის მოგება		1 721 547		1 721 547
ნაშთი - 31.12.2018	-	1 773 004	-	1 773 004
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-			-
გაცემული დივიდენდები	-			-
პერიოდის მოგება		501 020		501 020
ნაშთი - 31.12.2019	-	2 274 023	-	2 274 023

შპს „ბაკურიანი XI - მგზავრებისგან“
 დირექტორი დავით ცერცვაძე



შპს „ბაკურიანი XI - მგზავრებისგან“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბაკურიანი XI - მგზავრებისგან შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 17/10/2017). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.მარჯანიშვილი-გ.ჩუბინაშვილის ქ., N 40/18 . მისი ძირითადი საქმიანობაა შენობების აშენება და მისი გაყიდვა. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია დავით ცერცვაძე, რომელიც ასევე კომპანიის მოქმედი დირექტორია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება.

როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის

სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 2 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა 4.

ძირითადი
საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა		ოფისის აღჭურვილობა		ოფისის აღჭურვილობა
	ლარი		ლარი		ლარი
თვითღირებულება		თვითღირებულება		თვითღირებულება	
1 იანვარი 2017 წ.	-	1 იანვარი 2018 წ.	6 010	1 იანვარი 2019 წ.	23 556
შემოსვლა	6 010	შემოსვლა	17 545	შემოსვლა	2 288
გასვლა	-	გასვლა	-	გასვლა	-
31 დეკემბერი 2017 წ.	6 010	31 დეკემბერი 2018 წ.	23 556	31 დეკემბერი 2019 წ.	25 844
დაგროვილიცვება და გაუფასურება		დაგროვილიცვება და გაუფასურება		დაგროვილიცვება და გაუფასურება	
1 იანვარი 2017 წ.	-	1 იანვარი 2018 წ.	(23)	1 იანვარი 2019 წ.	(2 714)
წლიური ცვება	(23)	წლიური ცვება	(2 691)	წლიური ცვება	(5 016)
გასული აქტივის ცვება	-	გასული აქტივის ცვება	-	გასული აქტივის ცვება	-
გაუფასურება	-	გაუფასურება	-	გაუფასურება	-
31 დეკემბერი 2017 წ.	(23)	31 დეკემბერი 2018 წ.	(2 714)	31 დეკემბერი 2019 წ.	(7 730)
საბალანსო ღირებულება		საბალანსო ღირებულება		საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2017 წ.	5 988	31 დეკემბერი 2018 წ.	20 842	31 დეკემბერი 2019 წ.	18 114

შენიშვნა 5.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	1 822 832	1 114 056	-

შენიშვნა 6.

სხვა მიმდინარე აქტივები

	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
გადახდილი ავანსი	242 597	320 432	260 955
გასაყიდად განკუთვნილი შენობები	4 104 742	4 100 607	2 882 750
სხვა მასალები	-	-	67 489
დაუმთავრებელი წარმოება	-	1 727 153	-
გაცემული სესხი	6 750	6 750	-
გაცემული სესხზე მისაღები პროცენტები	2 020	670	-
საგადასახადო აქტივი	-	-	327 392
სხვა აქტივები	37 222	369 359	196 028
სულ:	4 393 331	6 524 971	3 734 615

შენიშვნა 7.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	261 999	988 469	11 568
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3 487 446	5 448 369	3 746 455
მიღებული ავანსები	123 616	2 300 958	1 285 074
სხვა ვალდებულებები	33 877	37 047	6 864
სულ:	3 906 938	8 774 843	5 049 961

შენიშვნა 8.

ამონაგები	2019 ლარი	2018 ლარი
ადგილობრივი მიწოდება	4 447 999	5 470 153

შენიშვნა 9.

ადმინისტრაციული ხარჯები	2019 ლარი	2018 ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	-	(6 250,00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(6 146,74)	(131 205,46)
სულ:	(6 147)	(137 455)

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2020 წლის 28 ნოემბერს.

